ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 75
(გამარტივებული შესყიდვა cpv 79954000 წვეულების ორგანიზება)

ქ. ფოთი ,, 18 " აპრილი 2018 წ.
ერთის მხრივ
ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"ს/კ 215082764.
მისამართი: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93.
საბანკო რეკვიზიტები: ,,სახელმწიფო ხაზინა " ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა: 707247519
დირექტორი: რევაზ ბაბილუა. (შემდგომში ,,შემსყიდველი")
და მეორეს მხრივ,
მიმწოდებელი - შ.პ.ს. "ღვინის სახლი" ს/კ 415091117.
მისამართი: ქ. ფოთი, 9 აპრილის ქ. № 31
საბანკო რეკვიზიტი: სს „თი ბი სი ბანკი". ბანკის კოდი: ბ/კ TBGBGE22; ა/ა GE90TB7969936020100002;
ხელმძღვანელი: დირექტორი გრიგოლ სამსონია

1. ხელშეკრულების საგანი
1.1„მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურში, 2018 წლის 18 აპრილს დამოუკიდებელი ექსპერტის, პიტერ დუგლასის, სტუმრობასთან დაკავშირებით, უზრუნველყოს რესტორან **შ.პ.ს. ღვინის სახლში** წვეულების ორგანიზება, სულ ოთხ პერსონაზე.
2. ხელშეკრულების ღირებულება
2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 165.00 (ასსამოცდახუთი ლარი და 00 თეთრი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3 მომსახურების მიწოდების ვადები
3.1 შესყიდული მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს 2018 წლის 18 აპრილს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
4.1. მოწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული ხარჯის გათვალისწინებით, მიღება–ჩაბარების აქტის და ინვოისის შესაბამისად, მიღება–ჩაბარების აქტის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

5. მიღება-ჩაბარების წესი
5.1. შესყიდული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
6.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
ა) გაუწიოს ხარისხიანი და დროული მომსახურება შემსყიდველს.
6.3 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1 % - ის ოდენობით.

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება
7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს „შემსყიდველი"–ს მიერ გამოყოფილი თანამშრომელი – ზაზა მარკელია.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს „მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 მაისის ჩათვლით.

9.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

საფუძველი : "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ ვ" ქვეპუნქტი. (წარმომადგენლობითი ხარჯები)

10. უფლებების გადაცემა

10.1 "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს

შემსყიდველის მხრიდან:

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"–ს

დირექტორი: რევაზ ბაბილუა

მიმწოდებლის მხრიდან:

რესტორანი შ.პ.ს. "ღვინის სახლი"

დირექტორი: გრიგოლ სამსონია

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად ვადასტურებთ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელებაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს:

მატერიალურ-ტექნიკური მომმარაგებელი: ზ. მარკელია ზაზა მარკელია